

## კვირის მთავარი თემები

19-25 მაისის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სიმულვილის ენა ლგბტ პირების მიმართ რესპონდენტების მხრიდან იყო გამოხატული;
- შუღლის გაღვივებას თურქების მიმართ პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი (დავით თარხან-მოურავი) ახდენდა;
- ანტითურქული განწყობების გაღვივებას, როგორც საარჩევნო სუბიექტების

(დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი; ჯონდი ბადათურია, ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია), ასევე სხვა რესპონდენტების მხრიდან ჰქონდა ადგილი;

- ხდებოდა ანტიდასავლური განწყობების გაღვივება, როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელების [ჯონდი ბადათურია, ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია, დავით

გაგრძელება გვ. 2

## # 14, 19 - 25 მაისი



## რეაბირება

## 22 მაისი

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ტელეკომპანია "კავკასიის" თვითრეგულირების ორგანოს მიმართეს



22 მაისს საქართველოს აზერბაიჯანულ სტუდენტთა ასოციაცია "გატამ", მედიის განვითარების ფონდმა (MDF), საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ (GDI) და ტოლერან-ტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI) ტელეკომპანია კავკასიის თვითრეგულირების ორგანოს მიმართეს.

მიმართვის საფუძველი 14 მაისის თოქ-შოუ "სპექტრში" გადაცემის წამყვანის დავით აქუბარდიას მიერ გაკეთებული განცხადებები გახდა:

**დავით აქუბარდია, წამყვანი:** "აზერბაიჯანული ქალაქი გახდება 15-20 წელიწადში ეს ქალაქი [რუსთავი], თუ ეს არ გადავარჩინეთ... რუსთავი უნდა გადარჩეს, როგორც ქართულ ქალაქად და ეს იდეა ჩემი იდეა არ არის, ეს სტალინის იდეა არის..."

გაგრძელება გვ. 12

## შინაარსი

|                                 |    |
|---------------------------------|----|
| სიმულვილის ენა                  | 2  |
| შუღლის გაღვივება                | 3  |
| ანტითურქული განწყობები          | 3  |
| რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია  | 4  |
| ანტიდასავლური განწყობები        | 4  |
| სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია | 7  |
| ანტიდისკრიმინაციული კანონი      | 9  |
| გენდერული სტერეოტიპები          | 11 |

## კვირის მთავარი თემები

### დასაწყისი გვ. 1

თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი], ასევე სეპარატიზმის საფრთხესთან [ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი] დაუსაბუთებელი დაკავშირების გზით, ანტიდისკრიმინაციული კანონისა და ჰომოსექსუალობის თემის შესახებ ტრადიციული სპეკულაციებით;

- ანტიდასავლურ რიტორიკას მედია საშუალებები - "ასავალ-დასავალი", "კვირის ქრონიკა", მედია-კავშირი "ობიექტივი" და Gword.ge მიმართავდნენ;
- სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია როგორც პოლიტიკოსების, ასევე სასულიერო პირების და მედიის მხრიდან იჩენდა თავს;
- ანტიდისკრიმინაციული კანონის თემა კვლავ ლგბტ ჯგუფთან და დასავლეთის მხრიდან თავს მოხვეულ ვალდებულებასთან ასოცირდებოდა.

პოზიტიური გაშუქების მაგალითები:

- ინტერნეტ პორტალ „ნეტგაზეთის“ (22 მაისი) მიერ სექსუალურ უმცირესობათა პრობლემებზე მომზადებული მასალა, სათაურით „17- დან –17–მდე: როგორ დევნიან სექსუალურ უმცირესობებს საქართველოში“;
- გენდერმგრძობიარობის თვალსაზრისით, საზოგადოებრივი მაუწყებლის „მომხმეში“ 24 მაისს გასული სიუჟეტი, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გაზრდილ მაჩვენებელს ეხებოდა.

## სიკუფილის მნა

### ასავალ-დასავალი, 19-25 მაისი

**კახა კაკაბაძე, ჯგუფი „წმინდა გიორგი“:** „ტყვიას შევუშვერთ შუბლს და ეს აქოთებული ხალხი საქართველოში გაჯეჯილებას ვერ ეღირსება!.. მთელი ერი და ბერი უნდა დავდგეთ ფეხზე!.. მე ვლაპარაკობ შეგნებით და გენეტიკურად ჩამოყალიბებულ მამრობით სქესზე“.

### რეზონანსი, 19 მაისი

**ომარ მაღლაკელიძე, აქციის მონაწილე:** „ადრე თავს თურქ-სელჩუკების და არაბებისგან ვიცავდით, ახლა კიდე ამ პიდარასტებისა და უჯიშოებისგან უნდა დავიცვათ.“

### შუღლის გაღვივება

**ოზიმეტივი, ღამის სტუდია, 20 მაისი**

**ღამით თარსან-მოურავი, პატრიოტა**

**ალიანსი:** „არასოდეს თავისი არსებობის განმავლობაში თურქეთი არ იყო საქართველოს მეგობარი... დამპყრობილი ჰყავდა არაერთგზის, ზღვა სისხლი აქვს დაღვრილი საქართველოში... არასოდეს არავითარი სიკეთე თურქეთს არ მოუტანია არც საქართველოსთვის, არც ერთი ევროპული ქვეყნისთვის, და საერთოდ მსოფლიოში არავისთვის. მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში თურქეთი იყო დამპყრობელი ქვეყანა, რომელიც ანადგურებდა სახელმწიფოებს და ხალხებს... თურქეთს მხოლოდ აინტერესებს კვლავ საქართველოს დაპყრობა, არც მალავს ამას, ხალხნო... იმდენი ტკივილი მოგვანიჭეს ჩვენ, და იმდენჯერ მოგვიწყვეს გენოციდი, რომ ჩვენთვის ასე ბოდიში

აქვთ მოსახდელი ისევე, როგორც სომხებისთვის და არანაირი ბოდიშები ჩვენთვის არ მოუხდიათ.

... ერთი მილიონი დოლარი გაედინება ყოველ წელს თურქეთში, ჩვენ ხარჯზე მდიდრდებიან, აქ შემოდის ყველაზე ცუდი ხარისხის პროდუქტი რომლითაც ავადდება ჩვენი ხალხი და კვდება... ეხლაც ჩვენი მტერია ეკონომიკურად გვანადგურებს...

ჩვენ უდავოდ აჭარასაც და მთელ საქართველოსაც ვიხსნით თურქებისგანაც, თურქი დამპყრობლებისგანაც და სხვებისგანაც. ჩვენ სწორედ საქართველოს ქართველებს ვაჩუქებთ.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2342255](http://www.myvideo.ge/?video_id=2342255)

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2342231](http://www.myvideo.ge/?video_id=2342231)



**ღამით თარსან-მოურავი, პატრიოტა ალიანსი:**

„არასოდეს არავითარი სიკეთე თურქეთს არ მოუტანია არც საქართველოსთვის, არც ერთი ევროპული ქვეყნისთვის, და საერთოდ მსოფლიოში არავისთვის. მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში თურქეთი იყო დამპყრობელი ქვეყანა, რომელიც ანადგურებდა სახელმწიფოებს და ხალხებს... თურქეთს მხოლოდ აინტერესებს კვლავ საქართველოს დაპყრობა“.

### ანტითურქული განწყობები

**ოზიმეტივი, ღამის სტუდია, 24 მაისი**

**ღამით თარსან-მოურავი, პატრიოტა ალიანსი:** "მე მგონი გასაგებად ვამბობ: ის, რომ ექსპანსია აქ თურქული შეწყდეს!"  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2342383](http://www.myvideo.ge/?video_id=2342383)

**ალია, 23-26 მაისი**



**ჯონდი ბაღათურიძე, ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია [ქართული დასი]:** „როცა ჩვენ შევდივართ მაღაზიაში და ვყიდულობთ თურქულ პროდუქტს, ამით ჩვენ ვაფინანსებთ თურქეთს, ამიტომ ჩვენთვის მთავარი უნდა იყოს, დავაფასოთ ქართული პროდუქცია და გავამლიეროთ ქართული ეკონომიკა.“

**ოზიმეტივი, ღამის სტუდია, 25 მაისი**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:** „იგივე აჭარაში, სადაც იმ საზოგადოებას ყელში აქვს ამოსული თურქული, ასე ვთქვათ, უღელი, რომელიც წინა ხელისუფლებამ და ამ ხელისუფლებამ დაადგა თავზე.“  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2341770](http://www.myvideo.ge/?video_id=2341770)

**ასავალ-ღასავალი, 19-25 მაისი**

**ზურაბ ვადაძკორია, ილუზიონისტი:** „იდეოლოგია მიმდინარეობს თურქული, სერიალები და ფილმები - თურქული, აღმამენებლის გამზირს ცოტა ხანში, ღმერთმა დაიფაროს და, ათათურქის ქუჩას დაარქმევინ. ყველაფერი მიდის იქითკენ, ისტორიულად, რაც მათი ოცნება იყო, შეგვათრიონ ოსმალთა იმპერიაში.“

**რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია**

**ღობიშტივი, ღამის სტუდია, 20 მაისი**

**ღავით თარხან-მოურავი, პატრიოტა ალიანსი:** „თურქეთის ძმობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ორასი მეჩეთი ააშენეს, რომელიც საჭირო არ არის... და რომ ცდილობდნენ აზიზიეს სახელობის მეჩეთის აშენებას, რომელიც მეჩეთი კი არ იყო, ნიღაბი იყო სინამდვილეში და შიგ უნდოდათ დაზვერვის და სამხედროს და პლიუს თურქი მუფტის მოყვანა და საერთოდ, ბათუმში უნდოდათ თურქეთის ტერიტორია შეექმნათ...“  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2342243](http://www.myvideo.ge/?video_id=2342243)

**ანტიდასავლური განწყობები**

**ალია, 23-26 მაისი**

**ჯონდი ბალათური, ზურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია (ქართული დასი):** „ხალხს ატყუებენ, ხელს მოვაწერთ ხელშეკრულებას და ევროპის ბაზარი საქართველოსთვის გაიხსნება... ეს მუხლი [სურსათის უვნებლობის] გულისხმობს იმას, რომ კახელი ბებოს მაწონი ან იმერელი ბებოს ყველი აღარ შეიძლება გაიყიდოს საქართველოს სავაჭრო ქსელებში... შესაბამისად, თუკი ქართველი გლეხი პროდუქციას ვედარ გაასაღებს ბაზარში, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავხდეთ თურქული რძის პროდუქტების გასაღების ბაზარი...“

არის ერთ-ერთი ასეთი მუხლი, საქართველო ვალდებულია, მოხსნას ფინანსური და ყველა ტექნიკური ბარიერი ევროპულ საზღვართან, რაც იმას ნიშნავს, რომ ბარიერი მოიხსნება, საქართველოს ბაზარს წალეკავს, მაგალითად, თურქული კვერცხი, რომელიც ქართულ პროდუქციაზე უხარისხოა და სამჯერ იაფი. ამიტომ დახლიდან გაქრება ქართული პროდუქცია, ამ შემთხვევაში მეტი საფრხე დაემუქრება მეფრინველეობას და მის ადგილს დაიკავენ თურქული პროდუქტი.“

**ღობიშტივი, ღამის სტუდია, 20 მაისი**

**ღავით თარხან-მოურავი, პატრიოტა ალიანსი:** „ისიც უნდა გავიგოთ, რომ იმპერიები, რუსეთი, ამერიკა მარტო იმაზეა გამიზნული, რომ ქვეყნები გახლიჩონ, ამერიკას ჩვენ სულ არ ვაინტერესებთ, ამერიკამ ჩააბა თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ ბრძოლის შედეგად მაკკეინის და მსგავსი ადამიანების და დამნაშავეთა ჯგუფის, სააკაშვილი და სოროსი

და სხვები, მონაწილეობით და ავანტიურული ქმედებებით, ჩვენ დავკარგეთ სოხუმი და ცხინვალი...“

თუ პოლიტიკურს, თუ ეკონომიკურს მოვაწერთ [ევროკავშირთან], ჩვენ თავს ვიგდებთ იმ მძიმე ვითარებაში, რა ვითარებაშიც თავის თავი ჩაიგდო საბერძნეთმა, კვიპროსმა, რუმინეთმა, ბულგარეთმა და აგერ პორტუგალიაც კი... და ჩვენ რას გავუძლებთ?“  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2342243](http://www.myvideo.ge/?video_id=2342243)  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2342255](http://www.myvideo.ge/?video_id=2342255)

**კვირის ქრონიკა, 19-25 მაისი**

**გურამ ფირცხალავა, მსახიობი:**

„საინტერესოა, რატომ ითხოვს (თუ ითხოვს საერთოდ) ევროპა ასე დაჟინებით ჩვენგან ამ კანონის მიღებას... თუ კონჩიტას უნდა დავემსგავსოთ, მაშინ მე, როგორც ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქე, წინააღმდეგი ვარ ევროინტეგრაციის. თუ არადა ნუ გვაძალებენ და ნუ გვტყნიან იმას, რაც ქართველისთვის არასოდეს იქნება მისაღები.“

**ასავალ-დასავალი, 19-25 მაისი**

**ჰამლეთ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

„სამაგიეროდ, ჩვენ მიგვადებინეს ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომლითაც ნორმად იქცა ჰომოსექსუალიზმი...“

არც იმ ზღაპრებისა დაიჯეროს ვინმემ, თითქოს ევროპაში თავისუფალი სავიზო რეჟიმით გავგანებებოდნენ! ეს რეჟიმი წაადგებათ მხოლოდ გარკვეული კატეგორიის ადამიანებს და არა ჩვენს მეზობელ დეიდა მართას, რომელსაც ევროკავშირში არავინ შეუშვებს და ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ ამ ზღაპრებს

## ანტიდასავლური განწყობები

თან ახლავს სასიკვდილო საფრთხე, საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების საფრთხე!.. ჩვენ გვყავს აზერბაიჯანული და სომხური მოსახლეობა, ჩვენ გვაქვს თურქული ზეგავლენა აჭარაში... ერთ მშვენიერ დღეს ამ რეგიონებშიც რომ დაიწყოს სეპარატისტული პროცესები, როგორ ფიქრობთ, ევროკავშირის ასოცირებული წევრობა გვიშველის?!"

### ოზიქიძე, ღამის სტუდია, 25 მაისი

#### კამლბე ჭიკაშვილი, პოლიტოლოგი:

...მოკლედ მოახერხეს ის, რომ უკრაინელებს შეაძულეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეაძულეს რუსეთი. ეს იყო პირველი დიდი გამარჯვება ამერიკის შეერთებული შტატების, იმიტომ რომ იდეოლოგიური თვალსაზრისით, როდესაც შენ სახელმძღვანელოებში ჩააწერინებ უკრაინელებს, რომ რუსი არის ოკუპანტი... ეს ნიშნავს იმას, რომ ამერიკელებმა ძალიან სერიოზულად იმუშავეს უკრაინაში.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2341756](http://www.myvideo.ge/?video_id=2341756)

### ასავალ-დასავალი, 19-25 მაისი

#### პასა პაპაბაძე, ჯგუფი „წმინდა გიორგი“:

„საითკენ მივიჩქარით, იმ ევროკავშირისკენ, რომლის სახეც ევროვიზიის კონკურსში გამარჯვებული წვეროსანი ტრანსვენსტია? ამ არსებას თითზე უკეთია სატანისტური ბეჭედი, რომელზეც თავის ქალაა გამოსახული, ანუ ყველა უბედურებასთან ერთად, მამათმავლები სატანისტებიც არიან! ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელ ხანს 24 შემთხვევა დაფიქსირდა, როცა მამათმავლები, მაინცდამაინც პატარა ბიჭებს შვილობდნენ, რომლებსაც შემდეგ რყენდნენ და აუპატიურებდნენ!.. ჩვენ მამათმავლებისა და დედათმავლების ევროკავშირთან კი არა, ქრისტესთან კავშირი გვინდა!“

#### ბრიშა ონიანი, „სტალინის“ საზოგადოება:

„ამერიკას და დასავლეთს უნდა „ზურაბაანთ ბიჭებით“ [დავით ზურაბიშვილი] გადააბრუნონ მართლმადიდებლობა და ქართული ეკლესია, მაგრამ ვიდრე ეს ოცნება აუხდებათ, მანამდე დარწმუნებული ვარ, თვითონ გადაბრუნდებიან!“

### რეზონანსი, 19 მაისი

**მისილ ცაბარაძე, ასტროლოგი:** „ვიღაცას მასონურ ჯგუფებში ეტყობა, არ აწყობს ეს, [„სექსუალური უმცირესობების განკურნება“], რადგან ამით უფრო ადვილია საზოგადოების აღრევა და მასონური გეგმების შესრულება. ეს მოდის ევროპიდან და, სამწუხაროდ, შემოაღწია საქართველოშიც, თქვენ დაინახეთ, რომ გამოვიდა ევროკავშირის ხელმძღვანელი და ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების გამო ჩვენი მთავრობა შეაქო... ეს ევროპის კუდის ქიცინია, რითაც შორს ვერ წავალო.“

### საქინფორმი, 23 მაისი

#### გიორგი ვიოლოროვი, გაზეთ „ვზგლიადის“ სოციალურ-პოლიტიკური კვლევის ცენტრ „ასპექტის“ დირექტორი:

„ბაროზუს ეს უარი უზარმაზარი პოლიტიკური დარტყმა იყო ქართველებისთვის... კარგი გამოფხიზლება იყო საქართველოსთვის, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ევროპას ის არასოდეს სჭირდებოდა და არც დასჭირდება, ისევე, როგორც უკრაინა.“

[http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=18988:2014-05-23-08-49-12&catid=98:politics&Itemid=457#ixzz332C7xMBp](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18988:2014-05-23-08-49-12&catid=98:politics&Itemid=457#ixzz332C7xMBp)

### საქინფორმი, 23 მაისი

#### „ახალი ევროპული ფასეულობები - ევროკავშირის კანიბალიზმს აჩვევენ...“

პლანეტის მოსახლეობის პერსპექტიული, ტოტალური შემცირების გეგმის შემსრულებლები ყველა განვითარებულ ქვეყანაში არიან, ასე რომ, მსოფლიო სიონიზმის ჩვეულ სამკუთხედში, რომელიც აშშ-ის, ევროპის და ისრაელისგან შედგება, თამამად შეიძლება იაპონიის ჩართვაც. [http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=18994:2014-05-23-11-19-04&catid=100:sazoqadoeba&Itemid=396#ixzz34Gp4updu](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18994:2014-05-23-11-19-04&catid=100:sazoqadoeba&Itemid=396#ixzz34Gp4updu)

### საქინფორმი, 19 მაისი

**საქინფორმი:** „გასულ წელს ანალოგიურ „ღირსების აღლუმს“ [სერბეთში] თან ახლდა მკრეხელური, ღვთისმგობი გამოხტომები. ამასთან, სერბეთის ხელისუფლებაზე და საზოგადოებაზე, ამ ღონისძიებების ჩატარების

გაგრძელება გვ. 6

## ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 5

მიზნით, უპრეცედენტო ზეწოლას ახდენდნენ ევროკავშირის ქვეყნების და აშშ-ის წარმომადგენლები. იმაში, რომ ისინი გაი-მართა, აქტიური როლი ითამაშეს ევროპელმა პოლიტიკოსებმა და დიპლომატებმა”.

[http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=18922:2014-05-19-12-06-37&catid=99:actual1&Itemid=419#ixzz332Fp7zMI](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18922:2014-05-19-12-06-37&catid=99:actual1&Itemid=419#ixzz332Fp7zMI)

### საქინფორმ, 19 მაისი

#### მაიკ უიტი, ამერიკელი ჟურნალისტი,

**მიმოხილველი:** „ექვვარეშა, რომ ოზამას ადმინისტრაციას პირდაპირი კავშირი ჰქონდა არეულობების ორგანიზებასთან - ცსს-ს დირექტორი ჯონ ბრენანი და ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი არეულობების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე კიევში იმყოფებოდნენ... ეს ოზამას ომია. ოზამას სურს რუსეთი სისხლისმღვრელ პარტიზანულ ომში ჩაითრიოს, რომელიც უკრაინას იმავე მდგომარეობაში ჩაადგებს, როგორშიც ერაყი, ავღანეთი და ახლა სირიაც ჩაცვივდნენ... სწორედ სახელმწიფო დეპარტამენტია პასუხისმგებელი უკრაინის ხელისუფლების დამხობაზე“

[http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=18928:2014-05-19-14-17-02&catid=101:ucxoeti&Itemid=385#ixzz332KpwBOj](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18928:2014-05-19-14-17-02&catid=101:ucxoeti&Itemid=385#ixzz332KpwBOj)

### ასავალ-დასავალი, 19-25 მაისი

**გიორგი ბიბაური, ჟურნალისტი:** “ანუ, რომპეიმ მარტივად, რომ ვთქვათ, ნათლად გვითხრა: თუ ევროპელობა გსურთ სრულ კო-ჰაბიტაციურ ჰარმონიაში უნდა იცხოვროთ პედერასტებთან და ნაცებთან!.. ჰერმან ვან რომპეის ჩირადდანი კი ციხის ზედამხედველის იმ პროექტორს გავს, რომელიც დაჟინებულად გვითვალთვალებს, ნაცებსა და სხვა უმცირესობებს უმრავლესობად გადაქცევაში ხელი არავინ შეუშალს!“

**ბ. ბოროვიკი, მწერალი, ნიუ-იორკში ახალი ამბების სააგენტოს საკუთარი კორესპონდენტი:** „კაპიტალისტური სამყაროს უმდიდრეს ქვეყანაში მთავრობას, რომელმაც „ადამიანის უფლებათა დამცველად“ გამოაცხადა თავი, ვერ აღუკვეთავს თავისი ბავშვების მასობრივი მოსპობა, „ვერ გამოუნახავს“ ამისთვის სახსრები... პრესა დუმს. სენატი თვალთმაქცობს...“

#### გიორგი ბიბაური, ჟურნალისტი (გადმოსცემს ინკოგნიტო აკადამიკოსის მოსაზრებებს):

„ეს სიძულვილი კი, დიდი ალბათობით, სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ ანდერს ბრევიკი, ასე ვთქვათ, ტიპიურ „ნორვეგიულ ოჯახში“ გაიზარდა! ჩვენში, ალბათ, ბევრს სმენია ვერეთ წოდებული შვედური ოჯახის შესახებ - ანუ იმ „ფენომენზე“, რომელიც უკვე ათწლეულებია, არსებობს ამ სკანდინავიურ ქვეყანაში, სადაც ჩვეულებრივი მოვლენაა, რამდენიმე მამაკაცისა და ქალის ერთად ცხოვრება!“

**გიორგი ბიბაური, ჟურნალისტი:** „...დასავლეთის მიერ დაფინანსებული ლგბტ აქტივისტები და ე.წ. „ლიბერასტები“ მართლმადიდებლობასა და საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიას ასე გაშმაგებით უტყვენ... ამ ხელისუფლებამ ისიც „მოახერხა“, რომ ე.წ. პედერასტების კანონიც მიიღო...“

### კვირის ქრონიკა, 19-25 მაისი

#### გელა ზემელაშვილი, ჟურნალისტი:

„...უკრაინაში საქმე ზუსტად ისე მიდის, როგორც ამერიკელებს უნდოდათ. მათ შუაგულ ევროპაში ძალიან იოლად „დაამყარეს“ ქალის და განუკითხაობა.“

### ოზიმეტივი, ღამის სტუდია, 19 მაისი

#### ნიკო რატიშვილი, ჟურნალისტი:

“ეკონომიკური ნაწილში [ასოცირების ხელშეკრულების] ხელმოწერა აკაბალებს საქართველოს“.

<http://obieqtivi.net/tv1.php?id=17013>

### GEWORLD.GE, 21 მაისი

**ჯაბა შვანია, ჟურნალისტი:** “...რა თქვა წინა კვირას თბილისში ვიზიტით მყოფმა ჰერმან ვან რომპეიმ: «ასოცირების შესახებ ხელშეკრულების შესრულების შემდეგ ჩვენ ერთი მომავალი გვექნება». ამას გვეუბნება კაცი, რომელიც სულ რაღაც ერთი თვის წინათ საჯაროდ აცხადებდა: ისეთი ცნებები, როგორცაა ხალხი და სამშობლო, ისტორიის სანაგვეზე უნდა მოვისროლოთ; ესე იგი რა გამოდის, სად გვეპატიჟებიან «დემოკრატიის მდაღადებელნი?» \_ იქ, სადაც ჩვენი სულიერი, ზნეობრივი იდენტობა შენარჩუნდება, თუ იქ, სადაც დიდი ხანია, გლობალისტთა ოკულტისტურმა იდეებმა ხორცი შეისხა?!“

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5903&lang=ge>

## სემსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

რუსთავი 2, არჩევანი, 20 მაისი

**ბურამ ფალკანდოშვილი, ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია,**

**მაჟორიტარობის კანდიდატი:** „ჩვენ შევძლებთ რომ ქალაქის დონეზე აიკრძალოს ელგებეტე პროპაგანდა, აიკრძალოს მათი მსვლელობები, მოგვბამავს ქუთაისი, თელავი, გორი და თუ მარტო პარლამენტში გამართავენ ელგებეტე პროპაგანდას და გეი ადლუმს, მაშინ მათი ნება იქნება.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2342215](http://www.myvideo.ge/?video_id=2342215)

კვირის ქრონიკა, 19-25 მაისი

**ამაგ ზოსიმა:** „დღეს მთელი მსოფლიო პირუტყვს ემსგავსება და ის ხალხი, ვინც გარყვნილების კანონს აკანონებს, გარყვნილები არიან. საქართველოს პირუტყვები არ სჭირდება, და დღეს რომ მსოფლიოში მიდის გარყვნილების პროპაგანდა, ქართველი ხალხი ამას ოჯახის სიწმინდის დაცვით უნდა დავუპირისპირედეთო.“

ალია, 22 მაისი

გაზეთი აქვეყნებს ინფორმაციას ჩვილი ბავშვების ჰომოსექსუალ წყვილებზე გაყიდვის შესახებ, რაც მხოლოდ ერთი წყაროს (თამარ ხაჭაპურიძე, ასოციაცია "მომავალი") მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეფუძნება და მასალის მიხედვით არ დასტურდება.

რეზონანსი, 19 მაისი

**ბესო მიქაშაძე, აქციის მონაწილე:** „არ შეიძლება გეების ელიტურ ჯგუფად წარმოჩენა. კანონი უნდა იცავდეს ყველას თანაბრად. ჩვენ დღეს არ ვებრძვით ლგბტ-ს, ჩვენ დღეს ვიცავთ ქართველი ერის ნებას... ერთადერთი, ვინც დღეს საქართველოში დისკრიმინირებული და შეურაცხყოფილია, ეს არის ქართველი ერი.“

**მისილ ცაბარაძე, აქციის მონაწილე:** „რადგან ჰომონალური დარღვევა აქვს, მას სჭირდება არა ხელშეწყობა, რომ გადავიდეს ქალის ზონაში, რაც მას არ უწერია, არამედ პირიქით, დახმარება სჭირდება, რომ ჰომონალური ცვლილებები ნორმაში მოიყვანოს და შეძლოს მამაკაცის ფუნქციის შესრულება.“

საქინფორმი, 19 მაისი

**ირინემოსი, სერბეთის პატრიარქი:** „ეს ადამიანის ბუნების დარღვევა ან გადახრაა“.

[http://saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=18922:2014-05-19-12-06-37&catid=99:actual1&Itemid=419#ixzz332Fa8Fbc](http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18922:2014-05-19-12-06-37&catid=99:actual1&Itemid=419#ixzz332Fa8Fbc)

რეზონანსი, 20 მაისი

**ჯაბა ბურჩიანი, აქციის მონაწილე:** „საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესებს და არ უნდა ახდენდეს გარყვნილების პროპაგანდას [გოგი გვახარია და რადიო "თავისუფლების" გადაცემა "წითელი ზონის" შესახებ].“

ასავალ-დასავალი, 19-25 მაისი

**ვალერი ხაბურძანია, ყოფილი უშიშროების მინისტრი:** „ჩვენში კი, დისკრიმინაციასთან ბრძოლის სახელით უზნეობის პროპაგანდა მიმდინარეობს, ნახეთ რა ხდება საქართველოში! სერიული არ გადის, რომელშიც ლგბტ თემა, არ არის ხელოვნურად ჩაკვებებული!.. რიგ შემთხვევებში თავად ძალადობენ უმრავლესობის უფლებებზე.“

გაგრძელება გვ. 8

## სემსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

დასაწყისი გვ. 7

ასავალ-დასავალი, 19-25 მაისი

**ბრიშა ონიანი, „სტალინის“ საზოგადოება:** "რესპუბლიკელებო, გახსოვდეთ, მომავალში „ცისფერთა პარადების“ დასაშლელად მხოლოდ მღვდელმსახურები არ გამოვლენ „ტაბურეტკებით“. მათთან ერთად გამოვა მთელი ქართველი ხალხი... ვერა თქვენ ვერ გადააბრუნებთ ქართულ ეკლესიას, ხოლო გზას რომელსაც თქვენ ემებთ, სოდომ-გომორისკენ მიმავალი გზაა, რომელიც მამაზეციერმა გოგირდის ცეცხლში დაფუჭა!"

**ოთარ კობერიძე, მსახიობი:** "ჩვენს ახალგაზრდობაშიც იყვნენ განსხვავებული ორიენტაციის ხალხი, მაგრამ ჩვენ ვთვლიდით, რომ სუსტები იყვნენ და ყველანიარად ვცდილობდით, ისინი კაცობისკენ შემოგვეტრიალებინა, თუმცა თუ შევნიშნავდით, რომ ისინი სხვის გარყვნასაც ცდილობდნენ, მაშინ სასტიკად ვუსწორდებოდით."



**არნო სიდირაშვილი, „საქინფორმი“:** "თუ ღარიბაშვილს პრემიერად დარჩენა და აყვავებული საქართველო სურს, პარლამენტს სასწრაფოდ უნდა მიაღებინოს ყველა ის კანონი, რომელიც რუსეთში მიიღეს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ინიციატივით. კერძოდ - კანონი მოზარდებს შორის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ; კანონი სახელმწიფო ტერიტორიაზე უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვის შესახებ... მაშინ საქართველოში აღარ გამოიგემა დიდი ტირაჟებით იმ ავადმყოფ გარყვნილთა ბინძური ბროშურები."

**დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი:** "ახლგაზრდებს წარამარა საყურებიან და მოკლევადიან ბიჭებს ნუ ვუჩვენებთ, თორემ უკვე ჰგონიათ, რომ საჭიროა, ყველა ასე იყოს. ქართული ჯიში ძლიერი რომ არ ყოფილიყო, ამდენს ვერ გაუძლებდა... კარგი საქმის მკეთებელი ვაჟკაცი არის ევროპელი და არა, ის უკანალს, რომ აქნევს და რაღაც გაუგებარი პერანგით და ჩულქებით დადის".

**გიორგი გიგაური, ჟურნალისტი (გადმოსცემს ინკოგნიტო აკადამიკოსის მოსაზრებებს):** „არადა მანამდე ნამდვილად არ მიფიქრია, რომ ანდერს ბრეივიკი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი და ამაზრზენი ტერაქტის ავტორი გახლდათ, „ყველა სიკეთესთან“ ერთად, პედერასტიც ბრძანდება!“

კვირის ქრონიკა, 19-25 მაისი

**თამარ ოქრუაშვილი, ჟურნალისტი:** „იქ ჰომოსექსუალებზეა ლაპარაკი, გაგვირყვნიან ახალგაზრდებს და ბავშვებს... ტრისტან წითელაშვილი მეუბნება, სამხედრო ვარ და არ მინდა ჯარში ჰომოსექსუალისტი მყავდეს უფროსი, მაგათთვის პარლამენტს ისეთი კანონი უნდა მიეღო, რომ მაგათთვის უნდა ემკურნალათ, უბედურება ისაა, რომ მაგ პარლამენტშიც სხედან ეგეთები და აქედან გამომდინარე, მასეთ კანონებს მაგიტომ იღებენო.“



## ანტიდისკრიმინაციული კანონი

ასავალ-დასავალი, 19-25 მაისი

### ჯონდი ბალათურია, ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია (ქართული დასი):

"მამათმავლებმა გაიმარჯვეს პარლამენტში, ხალხო! მამათმავალთა პრივილეგიის დამკანონებელი კანონის წინააღმდეგ ვერავინ გაბედა ხმის ამოღება."

### ბია ყრუაშვილი, თავისუფალი საქართველო:

"სულ მალე სკოლაში შვილს რომ მივიყვანთ და მასწავლებელი ხელს წაატანს, მივა მშობელი რომელიც სცემს ან შემოაკვდება ეს გეი ან ლესბოსელი და დაიჭერენ ამ მშობელს, ეს ტენდენცია ისეთი წავა, რომ ნახევარი საქართველო ციხეში იჯდება და მერე ხელისუფლებაშიც და ყველა დონეზე დარჩებიან ლგბტ პირები."

კვირის ქრონიკა, 19-25 მაისი

### შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტია:

"...ეს [ბიძინა ივანიშვილი] კონჩიტას მიმდევარი, ჰომოსექსუალისტების კანონის ავტორი, გარეთ ცხვირს უნდა ყოფდეს!"

არაიმტაიმი,  
19-25 მაისი

### ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი:

"როდესაც

უმცირესობის სასიკეთოდ

პრობლემას აგვარებ და მიკანონებ მის ხელშეუხებლობას, ამით ხელს უწყობს სექსუალურად გაუკუღმართებული ხალხის გამრავლებას... მე და ჰომოსექსუალი ერთი და იგივე ვართ? არ მინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, რომლის ხელისუფლებაც ცდილობს, გენდერულად გამაიგივოს სექსუალურად გაუკუღმართებულ ადამიანთან".

[http://pypress.ge/index.php?](http://pypress.ge/index.php?year=2014&magazine_id=383&topic_id=9149#U4ONsvmSxp4)

[year=2014&magazine\\_id=383&topic\\_id=9149#U4ONsvmSxp4](http://pypress.ge/index.php?year=2014&magazine_id=383&topic_id=9149#U4ONsvmSxp4)



ალია, 23-26 მაისი

**ბიორბი რაზმაძე, დიაკონი:** „ეს თემა ყოველთვის აქტუალური იქნება, მანამ, სანამ ეს ადამიანები თავიანთ უგუნურ და არაადამიანურ გადაწყვეტილებას არ შეცვლიან და უარს არ იტყვიან ამაზე.“

ალია, 21  
მაისი

### ბასილ მაკალაშივილი, მღვდელი:



„რესპუბლიკელები“ ეკლესიას ადრეც ებრძოდნენ, ახლა კი აქტიურ ფაზაში არიან შესული. სხვა მოლაპატეებთან ერთად, სწორედ მათ შეიმუშავეს ანტიდისკრიმინაციული კანონი... პარლამენტის შემადგენლობაში მინახავს მტრები, პიროვნებების სახით, მაგრამ ის, რომ ყველა ერთ ჭკუაზე იდგეს ქვეყნის საზიანოდ, პირველად ვნახე... სოდომისეულ კანონს ხელი მოაწერა პრეზიდენტმა, გლდანის მართლმადიდებელი ეპარქია სამშობლოს დალატსა და სარწმუნოების შეურაცხყოფას არავის აპატიებს. "

GEWORLD.GE , 22 მაისი

**ღაშით ქვლივიძე, დეკანოზი:** „მამათმავლობა უმძიმესი ცოდვაა, ამის გამო ღმერთმა სოდომი და გომორი გაანადგურა... ეს მსვლელობა ქუჩაში ოჯახებით იმისთვისაა საჭირო, უფალს ვაჩვენოთ, რომ ქვეყნის საწინააღმდეგოდ მიღებულ კანონს ერთი არ ეთანხმება და ჩვენ და ჩვენს წინაპრებს ამდენი იმიტომ არ გვიბრძოლია და 9 აპრილს იმიტომ არ ვმდგარვართ რუსთაველზე, რომ დღეს ასეთი კანონი გაგვეპროტესტებინა.“

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5912>

გაგრძელება გვ. 10

## ანტიდისკრიმინაციული კანონი

დასაწყისი გვ. 9

**რეპორტიორი, 21 მაისი**

**ლევან**

**ვასაძე,**

**ბიზნესმენი:**

“თქვენ მიღებული კანონი

ქვეყანაში

უბედურებას დაატრიალებს თუ რამე არ ვიღონეთ ახლავე... თქვენ შეარცხვინეთ საქართველო მთელი 30 მილიონიანი კავკაციის წინაშე, სადაც მას ღირსების ეტალონად აღიქვამდნენ!”

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=27388>

**პრაიმტიამი, 19-25 მაისი**

**ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:** „ეს არის ქვეყნის დაღუპვა... ეს კანონი არის საერთაშორისო პროგრამის ნაწილი, რომელიც მიმართულია ოჯახური და სულიერი ღირებულებების წინააღმდეგ, მის დეგრადაციასა და სულიერ გარყვანაზე..”

[http://ptpress.ge/index.php?](http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine_id=383&topic_id=9152#.U4OAN_mSxp4)

[year=2014&magazine\\_id=383&topic\\_id=9152#.U4OAN\\_mSxp4](http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine_id=383&topic_id=9152#.U4OAN_mSxp4)

**თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის**

**ყოფილი მინისტრი:** “მიმაჩნია, რომ პარლამენტი, რომელმაც ჰომოსექსუალ-

ლების შესახებ კანონი მიიღო, უნდა დაიშალოს და არ უნდა არსებობდეს საერთოდ საქართველოში.“

[http://ptpress.ge/index.php?](http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine_id=383&topic_id=9151#.U4OMevmSxp4)

[year=2014&magazine\\_id=383&topic\\_id=9151#.U4OMevmSxp4](http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine_id=383&topic_id=9151#.U4OMevmSxp4)

**რეპორტიორი, 22 მაისი**

**ზვიად ტომარაძე, ეროვნულ-**

**რელიგიური ინსტიტუტი:** „ამ კანონის

მიღებით პარლამენტმა ჰომოსექსუალიზმი ბუნებრივ ნორმად დააკანონა. მიგვაჩნია, რომ ქართველები ევროპაში ღირსებით უნდა შევდიოდეთ და არა ისე, როგორც ფარსმან სპარსი შევიდა - წელში მოხრილი, უკანალით..“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=27512>

**ასავალ-ღასავალი, 19-25 მაისი**

**პანა კაკაბაძე, ჯგუფი „წმინდა გიორგი“:** “მაპატიეთ, მაგრამ ეს პედარა-

სტების კანონი, რომ მიიღეთ, ამით რა მოიგეთ, თქვე უბედურებო?.. დიახ, სწორედ ასე ბრძანა ქადაგებაში მეუფე იობმა - ვინც არ მრუმობს მამათმავლობით, მაგრამ ხმა მისცა ამ საშინელ კანონს, მეორედ მოსვლის დროს პასუხს აგებს, როგორც მამათმავალი!”

**ასავალ-ღასავალი, 19-25 მაისი**

**ლიტო ჩუპინიძე, ჟურნალისტი:** „და

მაინც, როგორ უნდა მოვამთოთ ეს ბილწი კანონი?“

## ანტიდისკრიმინაციული კანონი

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 19 მაისი

**ნინო რატიშვილი, ჟურნალისტი:**

„მთელი ეს აღვირახსნილობა ჩვენ მოგვეწოდებოდა 9 წლის განმავლობაში, როგორც იქაური დიქტატი და დასავლური



მმართველობა... დღეს, არჩევნების წინ, ხელმოწერის წინ საკმაოდ არაპოპულარული ნაბიჯი გადაიდგა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით, რომელიც რატომ მიიღეს, მე არ ვიცი. თუ იმიტომ, რომ ნორმად უნდა დაგვიკანონონ სახელმწიფოებრივი უზენობა?.. მე რომ თქვენ მოგაყენოთ შეურაცხყოფა ფიზიკური, დაგჭრათ, მოგკლათ, მე უნდა ვაგო პასუხი, ვინაიდან ადამიანს მივაყენე ეს ზიანი და ადამიანების რანგირება უკვე, რას ნიშნავს? თქვენ რომ სხვანაირი იყოთ, მე გაცილებით უნდა დავისაჯო და ჩვეულებრივი ადამიანი თუ ხარ, ისე რა დამსჯიან?"

<http://obieqtivi.net/tv1.php?id=17013>

**სათუნა ლაგაზიძე, ექსპერტი:** “საქართველოს ხელისუფლებას რომ

მოეწადინებინა და დასავლეთისთვის აეხსნა, რომ დღეს ქართული კულტურისთვის, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ, მით უმეტეს, იმ ტიპის კანონების შემოთავაზებები, რომელიც აპრიორი ამ ქვეყნის უსაფრთხოების, ამ ქვეყნის ძირითადი ღერძის, ოჯახის უსაფრთხოების თემას ეხება, დასავლეთი ამას ძალიან ბუნებრივად მიიღებდა.“

<http://obieqtivi.net/tv1.php?id=17013>

## გენდერული სტერეოტიპები

პრაიმტაიმი, 19-25 მაისი

**ბია სუსაშვილი, პოლიტოლოგი:** “ის [ნინო შუბლაძე] გავიდა ომიდან, ქალია და ამის უფლება აქვთ. მობილიზაციის დროს ქალებს ჯარში არ იწვევენ... ქალია და ვაპატიოთ.”



[http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine\\_id=383&topic\\_id=9141#.U4OTLPmSxp4](http://ptpress.ge/index.php?year=2014&magazine_id=383&topic_id=9141#.U4OTLPmSxp4)

დასაწყისი გვ. 1

-ეს უხერხული თემებია, მცოცავი ანექსიაა ეს იცი, ნელა-ნელა მოდიან, ეს ქალაქი იჭერს, თორემ აგერ ორთაჭალასთან სხვა ქვეყნის საზღვარი გვექნებოდა... შემცირდა მოსახლეობა თქვენთან, განახევრდა, პირველი სართულები ვინც იყიდეს, სუყველას აქვს ბაქოში ბინები...

წმინდა ეკონომიური დისკრიმინაცია მიდის იქ ქართველების... ორი აზერბაიჯანული ბანკი მარტო აზერბაიჯანლებს აძლევს კრედიტს, რომ ბინები იყიდონ... ჩაგრავენ ქართველებს და ქართველების შემცირება ხდება... ეროსი, აქედან იწყება მერე დაკარგვა ტერიტორიების, მეტი კი არაფერი იყო - რეალური მოსახლეობის პრინციპი - კახი, ბელაქანი, ზაქათალა, ნახე რა, 20 წლის მაისის ხელშეკრულება რუსეთთან. აღიარებდნენ, იმას საქართველოს ტერიტორიად. მერე ატეხეს, რეალური მოსახლეობის პრინციპით და წაგვართმევს. ასე წაგვართმევნ იმ რუსთავსაც, თუ არ გამოვიფხიკეთ ყურები."

განცხადების ავტორთა აზრით, გადაცემის წამყვანის მხრიდან დარღვეულია მაუწყებელთა ქვეყნის კოდექსის 31-ე მუხლი, რადგან მისი განცხადებები აღვივებს სიძულვილს და არატოლერანტობას როგორც ეთნიკური ნიშნით საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელების, ასევე გეოგრაფიული წარმომავლობის მიხედვით, რუსთავში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელე-აზერბაიჯანელების მიმართ.

გადაცემის წამყვანმა ასევე დაარღვია კოდექსის 33.1 მუხლი, რომლის თანახმად, "მაუწყებელმა

თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლენას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან."

საგულისხმოა, რომ დავით აქუზარდია მაყურებელს სთავაზობს რამოდენიმე ფაქტობრივ გარემოებას (მაგ. აზერბაიჯანული ბანკები მხოლოდ ეთნიკური ნიშნით გასცემენ კრედიტებს) ისე, რომ არ უთითებს ინფორმაციის არც ღია, არც დახურულ წყაროს ან სხვა რამე ფაქტობრივ მტკიცებულებას, რაც მნიშვნელოვანია ჯეროვანი სიზუსტისთვის და აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად.

ქვეყნის კოდექსი (მუხლი 17.2) ასევე ავალდებულებს საავტორო პროგრამის წამყვანს, არ გამოიყენოს მისი მდგომარეობა საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისათვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცული არ ყოფილა.

დავით აქუზარდიას მიერ გადაცემა სპექტრში გაკეთებული განცხადებები ქსენოფობიურია და საქართველოს მოქალაქეების ეთნიკური და გეოგრაფიული ნიშნით სეგრეგაციას უწყობს ხელს.

საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაცია "გატა"

მედიის განვითარების ფონდი (MDF)

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

ლექცია "მრავალფეროვნების სკოლაში"

24 მაისს, "მრავალფეროვნების სკოლაში" ილიას უნივერსიტეტის რექტორმა გიგა ზედანიამ ნაციონალიზმის თემაზე ლექცია წაიკითხა.

შეხვედრა დისკუსიის ფორმატში წარიმართა.

ღონისძიება საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა.

